საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

N 227 15/12/2015

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2015 წლის 15 ნოემბრიდან - 15 დეკემბრამდე კომისიამ ჩაატარა ორი სხდომა, ერთი სხდომა გახლდათ ერთობლივი აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიასთან ერთად, აღნიშნული კომისიების სხდომის დროს განხილული იქნა 4 საკითხი:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ".

მომხს: ტ.არუშიძე

დ.ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2015 წელში განხორციელებული და 2016 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ.

მომხს: გ.აბაშმაძე

3. ა.(ა) ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი"-ს დირექტორის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ.სკამკოჩაიშვილი

4. შ.პ.ს „მუნიციპალური ტრანსპორტი"-ს დირექტორის ანგარიში მიმდინარე წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ა. გოგოტიშვილი

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და გადაწყვიტეს, დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დასკვნა (თან ერთვის) და მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტის საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განხილვა-დამტკიცება.

მეორე საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა მოისმინეს და განიხილეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2015 წელში განხორციელებული და 2016 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შესახებ“ მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის გ. აბაშმაძის ინფორმაცია. აღინიშნა, რომ დასრულების პროცესშია ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა: მერია-ლაითურის ხიდის, ჭანიეთის, ბახვის, ცხემლისხიდის საბავშვო ბაღებისა და მერიის ადმინისტრაციული ერთეულში უსახლკაროთა ხუთსართულიანი სახლის მშენებლობა და სხვა.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორცილებაა დაგეგმილი 2016 წელში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ ჭანუყვაძის ინიციატივას, შექმნას შ.პ.ს, რომელიც მოემსახურება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას, კომისიის წევრება მიზანშეწონილად ჩათვალეს და მხარი დაუჭირეს.

ხოლო რაც შეეხება მესამე და მეოთხე საკითხებს, კომისიის წევრებმა მოისმინეს შ.პ.ს „მუნიციპალური ტრანსპორტი“-სა და ა(ა)ი.პ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და არქიტექტურული დაგეგმარების ცენტრი“-ს დირექტორების ანგარიშები და გადაწყვიტეს ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

ტარიელ არუშიძე

კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია